გილოცავთ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის პროპაგანდის განყოფილება მხურვალედ გილოცავთ „ლელოს" 35 წლისთავს. გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, პროფესიული ოსტატობის შემდგომ სრულყოფას, ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის კეთილშობილურ საქმიანობაში.

პროპაგანდის განყოფილება.

• • •

ქართული სპორტული გაზეთის 35 წლისთავთან დაკავშირებით „ლელოს" რედაქციამ ბევრი მოსალოცი დეპეშა და წერილი მიიღო. ეს თარიღი გულთბილად მოგვილოცეს ჟურნალების „სპორტივნიე იგრის", „სპორტივნაია ჟიზნ როსიის", „ტეორია ი პრაქტიკა ფიზიჩესკოი კულტურის" რედაქციებმა, სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა პ. სობოლევმა, გორის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა, „დინამოს" სპორტული კომბინატის ხელმძღვანელობამ, აგრეთვე, სხვა ორგანიზაციებმა და პირებმა.

საქართველოს V პროფკავშირული

იმედი გვაქვს

СПАРТАКИАДА ПРОФСОЮЗОВ
IX
1969

ტყვიის მსროლელებმა ვერაფრით გაგვახარეს. მართალია, პრიზიორებიდან ყველამ პირველი და უფრო მაღალი თანრიგის ნორმატივი აჩვენა, მაგრამ არც ერთი რესპუბლიკური რეკორდი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ დოსააფის ერთ მიღწევას) არ გაუმჯობესებულა, არც ერთი ახალი სპორტის ოსტატი არ მომზადებულა.

გორელმა პირველთანრიგოსანმა ა. ბადრიდინოვამ (მწვრთნელი—სპორტის ოსტატი ვ. შიუკაშვილი) მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში უკან ჩამოიტოვა უფრო გამოცდილი მეტოქეები და ჩემპიონობა მოიპოვა. მისი წარმატება განსაკუთრებით მისასალმებელია იმიტომ, რომ გორში ხეირიანი ბაზა არ აქვთ. ამას ვერ ვიტყვით სხვა ქალაქების წარმომადგენლებზე. მათგან გუნდებში თითო-ოროლა წარმომადგენელი იყო და ისინიც უხეიროდ ისროდნენ.

სხვებზე უკეთ გამოვიდნენ სპორტის ოსტატები მ. ღვინერია, ა. დიღმელაშვილი, ვ. აბაჯიანი. ისინი თითო ვარჯიშში გამარჯვებით როდი დაკმაყოფილდნენ. აბაჯიანი, მაგალითად, ცეცხლის ხაზზე ოთხჯერ გამოვიდა და ოთხივეჯერ გამარჯვებულმა დატოვა სარბიელი.

დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენეს „გაქცეულ ირემზე" მსროლელებმა. აქ ყველა პრიზიორმა ოსტატობის კანდიდატის შესაბამისი ნორმატივი მოიპოვა და უნდა ვივარაუდოთ, რომ საკავშირო სპარტაკიადის გუნდურ ჩათვლაში ამ ვარჯიშში ცუდი შედეგები არ გვექნება.

არმიული შაშხანით 300 მეტრიდან მსროლელების იმედიც გვაქვს. ამ ვარჯიშში აბაჯიანმა (546 ქულა) სპორტის ოსტატის ნორმატივს გადააჭარბა, ს. მალიუტინმა კი 532 ქულა დააგროვა. სამაგიეროდ, ვ. სკრინიკოვისგან მეტს ველოდით. 522 ქულა მისთვის ცუდი მაჩვენებელია.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 25 მეტრიდან სილუეტებზე სწრაფსროლაში მ. ჟამურაშვილმა ცუდად როდი იასპარეზა, მაგრამ 575 ქულა სრულებით არ არის მის შესაძლებლობათა ზღვარი და პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადის ფინალში მისგან მეტს ველით. ჩემის ღრმა რწმენით, მოსკოვიდან იგი პრიზიორი უნდა დაბრუნდეს. ამ ვარჯიშში მან თანაგუნდელ დიღმელაშვილს 6 ქულა მოუგო. სამაგიეროდ, დიღმელაშვილმა რევანში აიღო ამავე იარაღით 50 მეტრზე სროლაში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება სტუდენტთა კოლექტივს დარჩა, რომელმაც 20 ქულით ჩამოიტოვა მეორე პრიზიორი — „განთიადი". III ადგილზეა „სპარტაკი". სტუდენტების უპირატესობა იქიდანაც ჩანს, რომ მათი გუნდის ექვსმა წევრმა უძლიერესის წოდება მოიპოვა, მაშინ, როცა განთიადელებს 3 ჩემპიონი ჰყავთ.

შეჯიბრების შემდეგ დავაკომპლექტეთ საქართველოს პროფკავშირთა ნაკრები, რომელიც მოსკოვში გაივლის სამზადისს და IX საკავშირო სპარტაკიადაში ჩაებმება.

პ. ლეკიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

• • •

ტექნიკური შედეგები

ქალები. მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლა. ა. ბადრიდინოვა („სპარტაკი") — 540, ვ. შატიკოვა („განთიადი") — 533, ე. კერნოჟიცკაია („ბურევესტნიკი") — 532; **მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 25 მეტრიდან სწრაფსროლა.** მ. ღვინერია — 565, ნ. სლივინა (ორივე — „ბურევესტნიკი") — 551, ო. ნოვოსელცოვა („განთიადი") — 535; **მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრიდან სროლა.** ლ. შიოკინა („ბურევესტნიკი") — 258, ღვინერია — 256, რ. პროზოროვა („განთიადი") — 250.

ვაჟები. ნებისმიერი შაშხანით 300 მეტრიდან სტანდარტზე (3×20) სროლა. ე. აბაჯიანი („განთიადი") — 562, ვ. სკრინიკოვი („ბურევესტნიკი") — 546, ი. ლომთაძე („სპარტაკი") — 543; **„გაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგი გასროლა.** ი. ციციშვილი — 219, გ. ბოსტოღანაშვილი (ორივე — „განთიადი") — 212, თ. ლეკიშვილი („ბურევესტნიკი") — 206; **25 ორმაგი გასროლა.** ბ. ნაცვლიშვილი („ბურევესტნიკი") — 207, ლეკიშვილი — 204, ციციშვილი — 202; **50 ერთმაგი და 25 ორმაგი გასროლის ჯამი.** ციციშვილი — 421, ნაცვლიშვილი — 412, ბოსტოღანაშვილი — 411; **მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 25 მეტრიდან სწრაფსროლა.** მ. ჟამურაშვილი — 575, ა. დიღმელაშვილი (ორივე — „ბურევესტნიკი") — 569, ბ. კარპოვი („კოლმეურნე") — 564; **მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრიდან სროლა.** დიღმელაშვილი — 550, ჟამურაშვილი — 540, ნ. გობოზოვი („განთიადი") — 525.

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად

მასობრივი ალპინიადა ილიჩის პიკზე

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო შეკრებაში მონაწილეობს 14 ქვეყნის — ავსტრიის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, იტალიის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ნეპალის, რუმინეთის, პოლონეთის, საფრანგეთის, გფრ-ის, იუგოსლავიის, სსრ კავშირისა და იაპონიის მუშათა სპორტული ორგანიზაციების 100 წარმომადგენელი. როგორც წესია, ვიდრე შორ გზას დაადგებოდნენ, მთამსვლელები ჯერ ცოტა ხანს დასხდნენ... პრეს-კონფერენციაზე.

პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ანტიპიონოვმა მთამსვლელებს გააცნო შეკრების პროგრამა. მან თქვა, რომ მონაწილეთა ყველა ჯგუფი თავს მოიყრის საბაზო ბანაკში აჩიკტაშის (3.600 მ) მიჯნაზე, ალაის ხეობის ულამაზეს კუთხეში. აქ ისინი გაივლიან აკლიმატიზაციას და მოაწყობენ საწვრთნელ საკვალიფიკაციო ასვლებს.

შეკრების მთავარი მოვლენა იქნება იერიში ლენინის პიკზე (7.134 მ), რომელიც სიმაღლით მესამე მწვერვალია ჩვენს ქვეყანაში და სირთულითაც უმაღლეს კატეგორიას ეკუთვნის. თუ სპორტსმენებს ხელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები შეხვდათ, განხორციელდება ასვლა კიდევ სამ „6-ათასიანზე" — კერენსკის, სვერდლოვისა და ოქტიაბრსკის პიკებზე. ექსპედიციას, რომელიც მონაწილე ქვეყნების მიხედვით ყველაზე მასობრივია სპორტის ისტორიაში, უხელმძღვანელებენ გამოცდილი ოსტატები: სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ოვჩინიკოვი, ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი პ. ბუდანოვი, აგრეთვე, პ. მლოტეცკი (პოლონეთი) და გ. დებერლე (ავსტრია), რომელთაც პამირისა და ჩვენი ქვეყნის სხვა მწვერვალების დალაშქვრაში დიდი გამოცდილება აქვთ. მთამსვლელები მოსკოვში 9 აგვისტოს უნდა დაბრუნდნენ.

10 ივლისს ალპინიადის მონაწილენი იყვნენ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმში და ბელადის ნეშტი გვირგვინებით შეამკეს.

ა. კალაბაშკინი.

საქღესი მოგვითხრობს

წყალსაცავის ბილიკებზე

ვოლგოგრადის ოლქი. მეტალურგიული ქარხნის მუშებისა და სპეციალისტების განკარგულებაშია კეთილმოწყობილი ერთდღიანი დასასვენებელი სახლი წყალსაცავის ნაპირზე.

დასვენებისთვის გამოყენებულია პარკი, ქალაქში და ქალაქგარეთ მდებარე პლაჟები, აფროსანთა კლუბი, სანადირო ადგილები.

• • •

სურათზე: ჩერეპოვეცის მეტალურგიული ქარხნის ავტომატიზაციის ცენტრალური ლაბორატორიის თანამშრომელი ი. შპაკი. იგი დასვენების დღეს საწყლოსნო თხილამურებით ერთობა.

ფოტო ი. ბელინსკისა (საკდესი).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 135 (3874) 13 1969 წ. ივლისი, კვირა, ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ემილია მელიქიშვილის ვერცხლი

დონის როსტოვში დამთავრდა არმიელთა საკავშირო ჩემპიონატი სასტენდო სროლაში. ქალთა ტურნირში წარმატებით იასპარეზა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" თანამშრომელმა, სპორტის ოსტატმა ე. მელიქიშვილმა.

ადგილიდან სროლაში პირველი სერიის შემდეგ დაწინაურდნენ სსრ კავშირის შვიდგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის ექს-ჩემპიონი, მოსკოველი ე. გერასინა და ე. მელიქიშვილი, რომლებმაც 25-დან 23-23 სამიზნე დაამსხვრიეს. მეორე სერიაში გერასინამ 7 სამიზნეს დააცილა, მელიქიშვილმა — ერთით მეტს. მესამე სერიაში მეტოქეებმა ისევ ერთნაირი მაჩვენებლები (20-20) მოიპოვეს.

გადამწყვეტი სიტყვა ბოლო სერიას უნდა ეთქვა. აქ გერასინამ იმარჯვა, საბოლოოდ 82 ქულა მოაგროვა და ჩემპიონი გახდა. მელიქიშვილმა 78 ქულით ვერცხლი დაისაკუთრა.

III ადგილისთვის დამატებითი სერია დაინიშნა ხაბაროვსკელ ე. რიაბცოვასა და კიეველ ა. პონომარიოვას შორის (ძირითად ასპარეზობაში მათ 74-74 ქულა ჰქონდათ). უპირატესობა პონომარიოვას დარჩა.

მრგვალ სტენდზე შეჯიბრება მოიგო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა, მასპინძელმა ლ. გურვიჩმა — 91 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ მოსკოველები ე. შებაშოვა (86) და ა. ლომაკო (77).

ვაჟებში ადგილიდან სროლაში აშკარა იყო სვერდლოვსკელი ა. იაკიმენკოს უპირატესობა, რომელმაც 200-დან 188 ქულა დააგროვა. მრგვალ სტენდზე ჩემპიონი გახდა ე. პეტროვი — 190.

ო. ივდოშვილი.

ფეხბურთი 69

ფაქტები, ციფრები, კომენტარი

დამთავრდა მატჩები პირველ ქვეჯგუფში. გუშინწინ გაირკვა ყველაფერი: მათი ვინაობაც, ვინც უნდა გააგრძელოს ბრძოლა I-XIV ადგილებისთვის და მათიც, ვინც კიდევ უფრო ცხარე ბრძოლაში უნდა ჩაებას უმაღლეს ლიგაში დარჩენის უფლებისთვის.

„ზენიტს“ მხოლოდ 1 ქულა სჭირდებოდა შვიდეულში მოსახვედრად და ეს ქულა გუნდმა აიღო შინ „ლოკომოტივთან“ შეხვედრაში — 1:1. ბურთები გაიტანეს უნანოვმა („ზენიტი“) და დავიდოვმა („ლოკომოტივი“).

ფრედ დამთავრდა მატჩი მინსკში ადგილობრივ „დინამოსა“ და „პახტაკორს“ შორის — 2:2. მინსკელთაგან ორივე ბურთი შეაგდო სახაროვმა, სტუმართაგან — იბრაჰიმოვმა და ვარიუხინმა.

ქვეჯგუფის საუკეთესო სნაიპერად დარჩა ქუთაისელი ჯ. ხერხაძე — 9 ბურთი. გ. ნოდიამ (თბილისის „დინამო“) და გ. ჰუსაინოვმა (მოსკოვის „სპარტაკი“) გაიტანეს 7-7 ბურთი.

სსრ კავშირის პირველობა

ამას არ მოველოდით

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 11 ივლისი.

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 3:0 (2:0).

„სპარტაკი“: კავაზაშვილი, ლოგოფეტი, ივანოვი, ლოვჩევი, კისელიოვი, აბრამოვი, კალინოვი, ჰუსაინოვი, ოსიანინი, პაპაევი, სილაგაძე (როჟკოვი).

„დინამო“: ურუშაძე, რეხვიაშვილი, კანთელაძე (ლ. ნოდია), ხურცილავა, ძოძუაშვილი, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო).

დუბლიორები — 2:0 „სპარტაკის“ სასარგებლოდ.

წინასწარი შეხვედრების ცენტრალური მატჩი II ქვეჯგუფში კალენდრის ბოლო დღეს შედგა და, ცხადია, უდიდესი ინტერესიც გამოიწვია ფეხბურთის მოყვარულთა შორის. ლუჟნიკის ვეება სტადიონი პირდაპირ გაიჭედა.

ეს გასაგებია: ჯერ ერთი, მოსკოველები მუდამ ინტერესით ელიან თბილისელთა გამოსვლას; მეორეც — ეს არ იყო უბრალო მატჩი. მის შედეგს აუცილებლად ექნება გავლენა სანოემბროდ, როცა მონაწილენი საბოლოოდ გაინაწილებენ ადგილებს, ხოლო სპარტაკელებსა და თბილისელებს ეს ადგილები უეჭველად ელით ცხრილის სათავეში. ყოველივე ამას დაუმატეთ, რომ თბილისის „დინამოს“ წლევანდელ გათამაშებაში არც ერთი მატჩი არ წაუგია, ხოლო „სპარტაკს“ მხოლოდ ერთი დამარცხება აქვს და ისიც თბილისელებთან.

ამ მცირეოდენი „პროლოგის“ შემდეგ ნება მომეცით მოსკოველი მაყურებლისა და, თუ გნებავთ, სპეციალისტის სახელითაც ვთქვა, რომ მოველოდით ყველაფერს, გარდა ასეთი ანგარიშისა. 3:0 მეტისმეტია ასეთი პრინციპული შეხვედრისთვის. მართალია, „სპარტაკს“ წლეულს ასე ძლიერად, ასე თავისუფლად, ასეთი აღმაფრენით არ უთამაშია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ თბილისის „დინამო“ მას ჩამორჩებოდა ყველაფრით და, რაც მთავარია, ორგანიზებულობით, მონდომებით, შრომისუნარიანობით.

მატჩის დეტალურ აღწერას არ შევუდგები, ვინაიდან იგი ტელევიზიით ნახა თითქმის მთელმა ქვეყანამ. მე მინდა გაგიზიაროთ ჩემი რამდენიმე მოსაზრება.

ისევ და ისევ თავს იჩენს თბილისელთა თამაშის შედეგები შინ და გარეთ. თქვენ მეტყვით, რომ თბილისის „დინამოს“ სტუმრად არ წაუგია არც ერთი მატჩი. მართალია, მაგრამ დაუკვირდით ციფრებს, უფრო სწორად, თბილისის „დინამოს“ სატურნირო გზას მიმდინარე გათამაშებაში. შინ ჩატარებული 9 მატჩიდან თბილისელებმა მოიგეს 7 და ფრედ დაამთავრეს 2. მოწინააღმდეგეთა მინდვრებზე სულ სხვა სურათს ვხედავთ: 9 მატჩიდან მოგებულია მხოლოდ 1, წაგებულია 1 და ფრედ დამთავრებულია 7.

ასეთ შემთხვევაში ამბობენ კომენტარები ზედმეტიაო, მაგრამ კომენტარის გაკეთებას მე საჭიროდ ვთვლი და აი, რატომ. გავიხსენოთ, რომ თბილისის „დინამო“ იშვიათად ცვლის მოთამაშეებს და უმთავრესად ერთი და იგივე შემადგენლობით თამაშობს. ესე იგი, გამოდის, რომ ამ ერთი და იგივე მოთამაშეებს შინ ერთი ფუნქციების შესრულება ევალებათ და სტუმრად კი სულ სხვისა. გუნდი მეტოქეთა მინდვრებზე იბრძვის ისე, რომ ცდილობს აიღოს ქულა და „თავისი თამაშით არ თამაშობს“.

ახლა მოგიყვანთ სხვა ციფრებსაც. შინ დინამოელებმა 20 ბურთი გაიტანეს მეტოქეთა კარში, ხოლო საკუთარში მიიღეს მხოლოდ 3. მეტოქეთა მინდვრებზე გუნდს ძალა ეყო მხოლოდ საიმისოდ, რომ გაეტანა სულ 2 გოლი, თავის კარში კი მიიღო 4. აი, აქ კი, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

დამეთანხმებით, რომ მატჩი „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) ძალიან საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა და შეუძლებელია ეს კარგი სანახაობითი მხარე მხოლოდ „სპარტაკის“ კარგი თამაშის ხარჯზე მომხდარიყო. ვიმეორებ, ამ დღეს მოსკოველები იბრძოდნენ გაცილებით უფრო მობილიზებულად, გაშლილი ფრონტით, თითოეული მოთამაშის უკიდურესად მაღალი დატვირთვით, თბილისელთა მხრივ კი ეს ყველაფერი არ ჩანდა. მაგრამ გაიხსენეთ ის მომენტებიც, რომლებიც „სპარტაკის“ კართან შეიქმნა, როცა კავაზაშვილის წინაშე მარტოდმარტო დარჩენილმა რეხვიაშვილმა საშუალება მისცა მეკარეს ეხსნა თავისი გუნდი უიმედო მდგომარეობიდან, გაიხსენეთ, როგორ ზანზარებდა ძელი ლ. ნოდიასა და მეტრეველის დარტყმების შემდეგ.

ამგვარი მომენტები თავისით არ იქმნება და თბილისელებს სრული შესაძლებლობა ჰქონდათ არ წაეგოთ მატჩი ასეთი ანგარიშით. მთავარ დამნაშავე რგოლად თბილისის „დინამოში“ ვთვლი ნახევარდაცვას, რომელმაც მთლიანად ჩააბარა ინიციატივა მოწინააღმდეგეს და, როგორც იტყვიან, თითი თითზე არ დაუკარებია მისი უკან დაბრუნებისთვის.

პირველი გოლი საკმაოდ მოულოდნელ ვითარებაში იქნა გატანილი. ურუშაძემ აშკარად დააგვიანა ბურთზე გამოსვლა და საშუალება მისცა ოსიანინს გაეტანა ბურთი.

ტაიმი ახალი დაწყებული იყო და თბილისელებს ბევრი რამ შეეძლოთ გამოესწორებინათ, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს. 45 წუთი მთლიანად „სპარტაკისა“ იყო. სტუმრები ვალდებული იყვნენ მკაცრი კონტროლის ქვეშ აეყვანათ ჰუსაინოვი, კისელიოვი, ოსიანინი, მათ კი სამივე ამ სპარტაკელს მოქმედების დიდი საშუალება დაუტოვეს და სპარტაკელებმაც არ დააყოვნეს მისი გამოყენება. 33-ე წუთზე კისელიოვი სწრაფად შეიჭრა მეტოქის საჯარიმო მოედანში და მეორე ბურთი გაგზავნა მის კარში.

შესვენების შემდეგ მდგომარეობა თითქოს გათანაბრდა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ „სპარტაკს“ ადრინდელი იერიშები აღარ ესაჭიროებოდა, ამიტომ მან სილაგაძის ნაცვლად მინდორზე როჟკოვი გამოიყვანა და შუა მინდორში ითამაშა. მას სავსებით აძლევდა ხელს მხოლოდ კონტრიერიშები და როცა ამ კონტრიერიშებიდან ერთ-ერთი ჰუსაინოვმა გოლით დაამთავრა, ძალთა შეფარდება საბოლოოდ ნათელი შეიქნა.

„სპარტაკმა“ დამსახურებულად მოიგო ეს უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მატჩი.

ა. ლეონტიევი,
სპორტის ოსტატი.
(ტელეფონით).

გათამაშების ცხრილები

„ა“ კლასი I ჯგუფი

II ქვეჯგუფი

საბოლოო მდგომარეობა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	18	14	3	1	29—9	31
„დინამო“ (თბილისი)	18	8	9	1	22—7	25
„შახტიორი“ (დონეცკი)	18	5	8	5	20—17	18
„ტორპედო“ (მოსკოვი)	18	5	8	5	15—14	18
„დინამო“ (მინსკი)	18	5	6	7	16—19	16
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	18	5	6	7	14—18	16
„ტორპედო“ (ქუთაისი)	18	7	2	9	17—27	16
„კაირატი“ (ალმა-ათა)	18	4	7	7	15—18	15
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	18	6	3	9	16—23	15
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	18	2	6	10	13—25	10

I-VII ადგილები

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	12	9	2	1	18—5	20
„დინამო“ (თბილისი)	12	5	6	1	14—5	16
„ტორპედო“ (მოსკოვი)	12	3	7	2	8—6	13
„შახტიორი“ (დონეცკი)	12	2	6	4	13—13	10
„ტორპედო“ (ქუთაისი)	12	4	1	7	10—21	9
„დინამო“ (მინსკი)	12	2	4	6	8—13	8
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	12	2	4	6	7—15	8

ყველაზე დიდი ანგარიშით

დონეცკი. „შახტიორის“ სტადიონი. 11 ივლისი.

„შახტიორი“ (დონეცკი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 6:0 (4:0).

„შახტიორი“: გოვოროვი, პოლაკი, ზიმა, პოპოვი, გუბიჩი, გრიგორიევი (ბუბცოვი), ორლოვი, კონკოვი, პილიპჩუკი, ევსეენკო (ზახაროვი), იარემჩენკო.

„ტორპედო“: გრძელიშვილი, ზარია, აბზიანიძე, შერგელაშვილი, ჩხაიძე, ოქროპირაშვილი, ბლინკოვი (წვერავა), ასიტაშვილი, ვეკუა (ჩიხლაძე), ხერხაძე, ქიქავა.

მსაჯი ვ. რუდნევი (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:0.

დამთავრდა ეს მატჩი და უნებლიედ გაგვახსენდა პირველი წრის შეხვედრა ქუთაისში, როცა მასპინძლებმა ანგარიშით 3:2 დაამარცხეს „შახტიორი“. მაშინაც ბევრი ბურთი იქნა გატანილი და ახლაც, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ ამჯერად ბურთები გადიოდა მხოლოდ „ტორპედოს“ კარში.

ძნელია ამ მატჩის კომენტირება. ვინ იცის, რამ იმოქმედა ქუთაისის ტორპედოელებზე. შეიძლება იმან, რომ სანუკვარ შვიდეულში მოხვედრას მათ მთელი თავიანთი ძალები შეალიეს და საკუთარ თავს უფლება მისცეს ეთამაშათ ყოველგვარი მონდომებისა და სტიმულის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ აღწერ იმას, რაც მინდორზე ხდებოდა. ქუთაისელი ფეხბურთელები ფაქტიურად არ იბრძოდნენ და მხოლოდ იმას უყურებდნენ, თუ როგორ გაქქონდა „შახტიორს“ მათ კარში ბურთები.

მატჩის, უფრო სწორად, დიდი ანგარიშის ბედი გადაწყდა პირველ ტაიმშივე, როცა ქუთაისელებმა ზედიზედ ოთხჯერ მოუხდათ ბურთის გამოტანა ბადიდან.

მეორე ტაიმი პირველის თავისებურ „მინიატურულ“ გაგრძელებას წარმოადგენდა: სრული უპირატესობა ისევ მასპინძლებს ჰქონდათ. დაუსახლებენ მხოლოდ გატანილი გოლების ავტორებს: პილიპჩუკი — 2, იარემჩენკო — 2, ორლოვი, კონკოვი.

ასეთი დიდი ანგარიში პირველია წლევანდელ ჩემპიონატში.

ვ. სტრელკო.
(ტელეფონით).

21 კანდიდატი

დაზუსტდა მოჭადრაკე ქალთა XXIX საკავშირო ჩემპიონატის მონაწილეთა სია. როგორც ცნობილია, ეს შეჯიბრება ჩვენს რესპუბლიკაში ოქტომბერში მოეწყობა. მასში პერსონალურად მოწვეულნი არიან მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, ამ წოდების ამაწინანდელი პრეტენდენტი ა. კუშნირი. შესარჩევი შეჯიბრებისგან თავისუფალნი იყვნენ სსრ კავშირის ჩემპიონი, თბილისელი ნ. ალექსანდრია, მისი თანაქალაქელი ა. ჩაიკოვსკაია და მესამე პრიზიორი მ. რანიკუ (ტალინი).

ფინალური ტურნირის დანარჩენი მონაწილენი გამოვლინდნენ ნახევარფინალურ შეჯიბრებებში, რომლებიც გაიმართა ლიპეცკში, ჩელიაბინსკში, უჟგოროდსა და ვინიცაში. ესენი არიან: ო. ანდრეევა (ხარკოვი), ვ. ბორისენკო (ტაშკენტი), რ. ვილერტე (რიგა), თ. გოლოვეი (მინსკი), ნ. კონოპლიოვა (მოსკოვი), ლ. შადურა (კურსკი), ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), ლ. კრისტოლი (ლენინგრადი), ქ. ზვორიკინა (მინსკი), მ. შული (ლვოვი), ტ. ზატულოვსკაია (ბაქო), ლ. სემიონოვა (ხმელნიცკი), ე. რუბცოვა (მოსკოვი), ო. პედკო (სოჭი), ა. მუსლიმოვა (ალმა-ათა) და თ. ხუგაშვილი (თბილისი).

მოჭადრაკეთა მეგობრული შეხვედრა

მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა მოსკოვისა და რუმინეთის მოჭადრაკეთა გუნდების ორწრიანი საერთაშორისო შეხვედრა 10 დაფაზე.

რუმინელთა გუნდში იყვნენ ცნობილი მოჭადრაკეები: დიდოსტატი ფ. გეორგიუ, საერთაშორისო ოსტატები ვ. ჩოკალტეა, ა. დრიმერი, ტ. გიცესკუ, ა. ნიკოლაუ, ე. პოლიქრონიადე, მ. პერევოზნიკი და სხვ.

მოსკოველთა პრესტიჟს იცავდნენ დიდოსტატები ვ. სმისლოვი, დ. ბრონშტეინი, ლ. შამკოვიჩი, საერთაშორისო ოსტატები ი. ზაიცევი, ა. კუშნირი და სხვ.

შეხვედრის პირველი დღე დამთავრდა ყაიმით — 5:5. მოსკოველებმა მხოლოდ მეორე დღეს იმარჯვეს — 6,5:3,5.

ცალკეული მოჭადრაკეებიდან წარმატებით ითამაშეს: მოსკოველთაგან — შამკოვიჩმა (2 ქულა), სმისლოვმა, ზაიცევმა (1,5-1,5), რუმინელთაგან — პოლიქრონიადემ და ა. მიტიტელუმ (1,5-1,5).

საინტერესოა მიკრომატჩების შედეგებიც: ვაჟების შეხვედრაში გაიმარჯვეს (7,5:4,5) მოსკოველებმა, ქალთა (3:3) და ჭაბუკთა (1:1) მატჩები კი ყაიმით დამთავრდა.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

წინა ნომერში ვიუწყებოდით საბჭოთა ველოსიპედისტების ნაკრები გუნდისა და ჰოლანდიელი მრბოლელის გ. ზეტემელკის გამარჯვებას „იუგოსლავიის ტურში“. ეს დიდი წარმატებაა სსრ კავშირის ნაკრებისა, ვინაიდან მას ძალიან ძლიერი მეტოქეები ჰყავდა. II ადგილზე გავიდა გდრ-ის გუნდი — 143:28.36, III — ჰოლანდიის კოლექტივი — 143:28.59.

100 კილომეტრზე რბოლაში მექსიკის ოლიმპიადის ჩემპიონმა ზეტემელკმა მწვავე ბრძოლაში მიაღწია ამ სახელოვან გამარჯვებას. იგი 22 წლისაა, ცხოვრობს ამსტერდამის გარეუბანში, პროფესიით ოპტიკოსია. მის საუცხოო ფორმაზე ისიც მეტყველებს, რომ ზეტემელკმა თითქმის 8 წუთით აჯობა მეორე პრიზიორს ა. ტაკაჩს (უნგრეთი) — 47:49.00.

III საპრიზო ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა გ. ნელიუბინმა — 47:49.05. მეოთხე იყო მოსკოველი ი. დმიტრიევი — 47.50.01.

როგორც ცნობილია, რბოლის ტრასა (1926 კმ) დაყოფილი იყო 14 ეტაპად. შეჯიბრების მონაწილეებმა სტარტი 29 ივნისს აიღეს ბელგრადში, ფინიში კი 10 ივლისს ჰქონდათ ლიუბლიანაში. ბრძოლა 14 გუნდის 98 სპორტსმენმა დაიწყო, მაგრამ იგი მხოლოდ 11 ნაკრების 61 ველოსიპედისტმა დაამთავრა. რბოლის საშუალო სისწრაფე საათში 40,7 კილომეტრს უდრიდა.

სამთო ეტაპებზე ყველას აჯობეს გდრ-ის გუნდის წევრებმა, ცნობილმა მრბოლელებმა ა. პეშელმა და დ. მიკეინმა. განსაკუთრებული აქტიურობა გამოიჩინეს ნელიუბინმა და შვეიცარიელმა ბ. ჰუბშმიდმა.

• • •

წინა ნომერში ვწერდით მოსკოველი ძალოსნის ნ. მირონენკოს (მძიმე წონა) მსოფლიო რეკორდის შესახებ აჭიმვაში (188,5 კგ), რომელიც რ. ბედნარსკის (აშშ) ძველ რეკორდს 0,5 კგ-ით სჯობს. ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მირონენკოსა და ბედნარსკის შედეგები მსოფლიო რეკორდებად ვერ ჩაითვლება იმის გამო, რომ ამ წონით კატეგორიაში მსოფლიო რეკორდების ფიქსირება მოხდება წლევანდელი მსოფლიო და ევროპული ჩემპიონატის შემდეგ. როგორც ცნობილია, ეს შეჯიბრება მოეწყობა ვარშავაში სექტემბრის დამლევს.

ასე რომ, ამერიკელი და საბჭოთა ძალოსნების რეკორდები მხოლოდ ეროვნულ მიღწევებად უნდა მივიჩნიოთ.

საინტერესოა, რომ ახალგაზრდა ამერიკელ ათლეტს რ. ბედნარსკის საბჭოთა გოლიათ ლ. ჟაბოტინსკის ერთ-ერთ ძირითად მეტოქედ მიიჩნევდნენ. მაგრამ ამერიკელმა გადაწყვიტა მძიმე წონაში დარჩენილიყო და საკმაოდ მაღალი შედეგებითაც ასპარეზობს. სამჭიდში მისი ბოლოდროინდელი მაჩვენებელია 558 კგ (გირვანქებიდან კილოგრამებში გადაყვანით). საბჭოთა ძალოსნის ი. ტალტსის საკავშირო რეკორდი კი, როგორც ცნობილია, 540 კგ-ს უდრის.

ვარშავის ჩემპიონატამდე დარჩენილ დროს ათლეტები ინტენსიურ მზადებაში გაატარებენ და მსოფლიოს ფიცარნაგზე მათი გამოსვლა ბევრ საინტერესოს ჰპირდება ძალოსნობის მოყვარულთ.

მოკლე ამბები

- **რიგა**, 11 ივლისი. ხარკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, 22 წლის ა. სტარკოვმა დღეს სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა საგზატკეცილო წრიულ რბოლაში საშუალედო ფინიშებით. იგი მთელი დისტანციის მანძილზე ყველაზე აქტიური იყო. ქალთა ჯგუფური რბოლა მოიგო მოსკოველმა ნ. სამოლიოტოვამ. პირველ ხუთ საშუალედო ფინიშზე სამჯერ გაიმარჯვა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა, რიგელმა ბ. ცაუნემ. ტრასის ერთ-ერთ მკვეთრ მოსახვევში იგი წაიქცა და ჯგუფს ჩამორჩა. მაგრამ ცაუნემ მაინც გააგრძელა ბრძოლა და საშუალედო ფინიშებზე მოგროვილი ქულებით II ადგილზე გავიდა.

- **მოსკოვი**, 11 ივლისი. სსრ კავშირის ბროლის თასი მხატვრულ ტანვარჯიშში მოიპოვა ასტრახანის 46-ე სკოლის კურსდამთავრებულმა, 17 წლის ა. ზასუხინამ. დღეს აქ ასე დამთავრდა ამ პრიზის გათამაშება. ალამ მრავალჭიდში 37,9 ქულა მოაგროვა. საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა ლ. ხერედა (კიევი) — 37,8, მესამეზე — 15 წლის მერვეკლასელი მოსწავლე, ომსკელი გ. შუგუროვა — 37,75. მას შემდეგ, რაც სახტუნებლით ნებისმიერი კომპოზიციის შესრულების დროს შუგუროვას მარცხი შეემთხვა, კიეველმა შეძლო თავის ნორჩ მეტოქეთა შორის ჩადგომა. ძვირფასი პრიზის ახალი მფლობელი რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელის ლ. ტიხომიროვას და ასტრახანის ბავშვთა სპორტული სკოლის აღზრდილია.

იგი ეტალონი იყო

ქართველ სპორტსმენთა და სპორტის მოყვარულთა დიდ ოჯახს გლოვა დაატყდა თავს. გლოვობს ყველა, ვისაც უყვარს მთამსვლელობა — ლამაზი და ვაჟკაცური სახეობა, ვინც აღტაცებული იყო შესანიშნავი მთამსვლელის მიხეილ ხერგიანის უბადლო ოსტატობით.

მწუხარეთა შორის არის ორი ადამიანი, რომლებიც განსაკუთრებით მწვავედ განიცდიან იტალიის მთებში მომხდარ ტრაგედიას, ორი ადამიანი, რომლებმაც სულ ახლოს ნახეს მიშას უკანასკნელი, საბედისწერო ნაბიჯები...

ერთია: საბჭოთა მთამსვლელთა დელეგაციის ხელმძღვანელი იტალიაში, ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის ალპინიზმის განყოფილების უფროსი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ ანუფრიკოვი;

მეორე: საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი მთამსვლელობასა და კლდეზე ცოცვაში ვიაჩესლავ ონიშჩენკო — მ. ხერგიანის ძირითადი პარტნიორი და მეწყვილე.

ჩვენ შევხვდით ხერგიანის დაღუპვის მოწმეებს. ვესაუბრეთ, აგრეთვე მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოსულ ალპინიზმის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარეს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ალექსანდრე ბოროვიკოვსაც. ვთხოვეთ მათ ეამბნათ, როგორ მოხდა ეს უბედურება, რა გახდა მ. ხერგიანის დაღუპვის მიზეზი.


impresa dei sovietici sul Civet

ეს სურათი იტალიური გაზეთ „ილ გადზეტინო დი ბელუნოდანაა" ამოღებული. მასზე აღბეჭდილია საბჭოთა მთამსვლელების გუნდი, რომელიც იქ დოლომიტის მწვერვალების დასაპყრობად იყო ჩასული.

მარცხნიდან — ო. კოსმაჩოვი, ვ. ონიშჩენკო, ვ. რომანოვი, მ. ხერგიანი, ვ. კოვუნენკო, მ. ანუფრიკოვი.

სურათი იმ საბედისწერო ასვლის წინაა გადაღებული — იგი მიხეილ ხერგიანის ერთ-ერთი ბოლო ფოტოგრაფიაა.

● ●

ა. ბოროვიკოვი: იტალიელ ალპინისტებთან ჩვენ დიდი მეგობრობა გვაკავშირებს. ეს მეგობრობა სათავეს იღებს 1964 წლიდან, როცა „იტალია — სსრ კავშირის" ასოციაციამ საბჭოთა მთამსვლელები ალპებში მიიწვია. 1966 და 1968 წლებში საბჭოთა ქვეყანას უკვე იტალიელები ესტუმრნენ. მაშინ მათ წარმატებით დალაშქრეს იალბუზი, იერიში მიიტანეს უშბაზე.

წლეულს კი ჯერი საბჭოთა ექვსეულზე მიდგა. ჩვენ საუკეთესონი შევარჩიეთ. ამ შემადგენლობაში უძლიერესი იყო მ. ხერგიანი — ჭეშმარიტად ჩვენი ქვეყნის № 1 ალპინისტი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მთამსვლელი. იგი ჯერ კიდევ 1960 წელს მონათლეს ინგლისელებმა „კლდის ვეფხვად", ხოლო როცა მიხეილმა თავის განუყრელ პარტნიორთან ვ. ონიშჩენკოსთან ერთად 1967 წელს საფრანგეთში იშვიათი სისწრაფით დალაშქრა ცნობილი მწვერვალები პტი-დრიუ, გრან-კაპუცინი და გრან-ჟორასი, მისი სახელი ალპინისტურ სამყაროში მეტად პოპულარული გახდა.

ეჭვი არავის გვეპარებოდა, რომ მეორე კანდიდატად გუნდში ვ. ონიშჩენკო უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, მოვიწვიეთ ო. კოსმაჩოვი ყაზახეთიდან, მოსკოველი ვ. რომანოვი, უკრაინელი ვ. კოვუნენკო. დელეგაციის ხელმძღვანელად დაინიშნა გამოცდილი მთამსვლელი მ. ანუფრიკოვი. აი, ასეთი იყო ექვსეული, რომლისთვისაც, ფაქტიურად, შეიძლებოდა ჩვენი ქვეყნის ნაკრები გვეწოდებინა.

მ. ანუფრიკოვი: მთელი ჯგუფი ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში იყო. ბიჭებმა ათდღიანი შეკრება გაიარეს იალტაში. ყირიმის კლდეები, რომლებიც დოლომიტური ქანისაა, ძალზე წააგავს დოლომიტის ალპებს თავისი სტრუქტურითა და წყობით.

25 ივნისს ჯგუფი გაემგზავრა რომს, სადაც გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს „იტალია — სსრ კავშირის" ასოციაციის წარმომადგენლებმა. ჩრდილოეთ იტალიის მთებში უკვე შემოგვხვდა იქაურ ალპინისტთა ჯგუფი, რომელიც შარშან იყო კავკასიონზე. მეგობრებმა ჩივეტის სამთო მასივის რაიონში მიგვიყვანეს.

30 ივნისს ჩვენმა ჯგუფმა ორი ასვლა მოაწყო ეგრეთ წოდებული „ვენეციის კოშკის" მწვერვალზე — კოსმაჩოვი და რომანოვი ავიდნენ IV კატეგორიის სიძნელის მარშრუტით, ხოლო ხერგიანი და ონიშჩენკო — უფრო რთული, V კატეგორიის მარშრუტით. უნდა ითქვას, რომ ორივე ჯგუფმა კარგ ტემპში განახორციელა ასვლა. მაგალითად, მიშამ და სლავამ ეს მანძილი 3 საათსა და 10 წუთში დაფარეს, ადგილობრივი ალპინისტები კი იმავე მარშრუტს 6-8 საათს ანდომებენ. არ დაგავიწყდეთ, რომ ეს ტრასა ჩვენებისთვის სრულიად უცნობი იყო.

ამ ასვლამ ჩვენს წყვილს დიდი პოპულარობა მოუხვეჭა იტალიაში, სადაც, უნდა ითქვას, ალპინიზმი საერთოდ უდიდესი პატივისცემით სარგებლობს.

ამიტომ იყო, რომ მათი შემდეგი ასვლის დროს მწვერვალ ბანკონზე, სამეთვალყუროდ გამოვიდა თვით არმანდო და როიტი — ცნობილი იტალიელი მთამსვლელი, ალპინიზმის ადგილობრივი ფედერაციის თავმჯდომარე. იგი ჩემთან ერთად 6 საათის განმავლობაში იჯდა ჭოგრიტით ხელში და თვალს არ აცილებდა ხერგიანსა და ონიშჩენკოს.

ბანკონის იერიშიც წარმატებით დამთავრდა და ახლა უკვე მთელი იტალია ალაპარაკდა ჩვენს ალპინისტებზე. გაზეთებმა ბევრი აღფრთოვანებული წერილი დაბეჭდეს ჩვენზე. გაზეთმა „ილ გადზეტინო დი ბელუნომ" ხერგიანსა და ონიშჩენკოს „წყვილი-სასწაული" უწოდა.

ჩვენ უკვე 5 ასვლა გვქონდა განხორციელებული და აი, დავიწყეთ მზადება მეექვსე, გადამწყვეტი იერიშისთვის. ეს იყო საბედისწერო სუ ალტო — მწვერვალი, რომელიც პირველად 1951 წელს დალაშქრეს ცნობილმა ფრანგმა მთამსვლელებმა ლივანოსმა და გაბრიელმა.

უნდა გითხრათ, რომ მიშას ძალიან უნდოდა სუ ალტოს დაპყრობა, ამბობდა, ეს მწვერვალი ხომ ბიძაჩემის მოსახელემ, გაბრიელმა დალაშქრაო (გაბრიელ ხერგიანი — ცნობილი ქართველი მთამსვლელი, მიშას ბიძა იყო).

მიხეილმა, რომელიც ჩვენს ექსპედიციაში სპორტული ნაწილის უფროსად ითვლებოდა და, უნდა ითქვას, ამ მოვალეობასაც ჩინებულად ასრულებდა, გულდასმით განიხილა მომავალი ასვლის მარშრუტი, დასახა თითოეულის ამოცანები, გაითვალისწინა ჩვენი შესაძლებლობანი.

ასვლის წინ ჩვენთან მოვიდა იტალიის ტელევიზიის ჯგუფი და გადაღების ნებართვა გვთხოვა. ერთმა მათგანმა მიშას გაუბედავად მიმართა: აი, იმ კლდეზე ასვლას ხომ არ გვაჩვენებდითო? ეს იყო სრულიად სწორი, ციცაბო კედელი. ჩვენ გაკვირვებით გადავხედეთ ჯერ ერთმანეთს, შემდეგ მიშას.

მიშამ, ვითომც აქ არაფერიაო, თქვა: თუ ჟურნალისტებისთვის ეს საჭიროა, ავალო. და ადგილს მოსწყდა. ისე ლაღად „აირბინა" მთა, სახტად დავრჩით. დღესაც ვერ გამიგია, როგორ ავიდა იმ კლდეზე, სადაც ვერც ერთი სულიერი ფეხს ვერ მოიკიდებდა. ოპერატორებმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი აღბეჭდეს ფირზე. საუბედუროდ, ეს მიშა ხერგიანის სიცოცხლეში გადაღებული უკანასკნელი კადრებია. იმედი მაქვს, იტალიის ალპინიზმის ფედერაცია შეასრულებს დანაპირებს და გამოგვიგზავნის ამ უნიკალურ მასალას ბრწყინვალე საბჭოთა მთამსვლელზე.

ვ. ონიშჩენკო: 4 ივლისს დილის 6 საათზე, მიშამ, მე, კოვუნენკომ და კოსმაჩოვმა ბანაკი დავტოვეთ და ერთად მივედით ჩვენი მარშრუტის დასაწყისამდე. აქედან კოვუნენკომ და კოსმაჩოვმა სხვა მიმართულებით გააგრძელეს გზა — მწვერვალ ვალგრანდესკენ გაემართნენ.

ამინდი ჩინებული იყო და 8 საათზე ჩვენ უკვე დავიწყეთ იერიში. თავიდან ტრასა შედარებით მარტივი გვეჩვენა, შემდეგ კი იგი საგრძნობლად გართულდა — დაიწყო თოვლიანი კულუარი. საჭირო იყო განივად გაგვეჭრა ტრასა დაახლოებით 40 მეტრზე. მიშამ დაზღვევა ითავა, მე კი თოვლი გადავლახე და კლდეზე გავედი. თოკის დამაგრების შემდეგ მიშა ამოვიდა. მერე ის მიდიოდა წინ, მე კი ვიცავდი. ასე მივიწევდით. ძალზე ციოდა, კლდე სველი იყო დამდნარი თოვლისგან და ეს ძალიან გვაფერხებდა. ამას დაუმატეთ, რომ მარშრუტი საერთოდ უმაღლესი სიძნელის კატეგორიისა იყო — ციცაბო კედლებით, რომლებსაც დროდადრო გადმოკიდებული კლდეები დამყურებდნენ.

ჩვენ ძალიან ფრთხილად, სანდო ურთიერთდაცვით მივიწევდით წინ. შუადღისას, ასე, პირველი საათისთვის, დაახლოებით 600 მეტრი გვქონდა გავლილი. მწვერვალამდე რაღაც 200 მეტრი იყო დარჩენილი. ძალიან დაცხა, დოლომიტის ქანები პირდაპირ იწვოდნენ ფეხქვეშ.

გზა დიდმა, გადმოკიდებულმა კლდემ გადაგვიღობა. ცხადია, პირდაპირ გასვლა არ შეიძლებოდა და მიშამაც მარცხნივ აიღო გეზი. იგი გადაევლო კლდის ქიმს, დაამაგრა კარაბინი პალოზე, ღარში შევიდა და ასვლა დაიწყო. აქ მე უკვე ვეღარ ვხედავდი მას, რადგან ღარს ეფარებოდა. ასე გაიარა მიშამ დაახლოებით 2,5-3 მეტრი. რაღაც ქართულ სიმღერას ღიღინებდა, კარგ ხასიათზე იყო. საერთოდ, იმ დღეს მიშა მეუბნებოდა, ეს მთები ძალიან ჰგავს ჩემს სვანეთსო, მწყემსების ხმა, ძროხების ზანზალაკები, სახლების წყობა — ყველაფერი ჩემს მშობლიურ მხარეს მაგონებსო.

... ერთბაშად მომსკდარი, თავქვე დაგორებული ქვების საშინელი ხმაური მომესმა, თოკს მოვქაჩე, ვიგრძენი პატარა ბიძგი და... სიცარიელე. იმავ წამს დავინახე ამაზრზენი სურათი — ქვებთან ერთად მოსხლეტილი მიშა. მივხვდი, რომ მოხდა ყველაზე დიდი საშინელება: მიშა უფსკრულში ვარდებოდა.

ანუფრიკოვი: კატასტროფის მომენტში ჭოგრიტი რომანოვს ეჭირა და მან ყველაფერი დაინახა — მიშას თოვლზე დაცემამდე.

უბედურების ადგილისკენ გავქანდით. გზაში ალპიურ მსროლელთა ჯგუფი შემოგვიერთდა. დაახლოებით 20-30 წუთში უკვე იქ ვიყავით. მიშას ცხედარი აგორდოს ბანაკში გადავიტანეთ. გზადაგზა ადგილობრივი ალპინისტები დახრილი დროშებით გვხვდებოდნენ: ისინი დუმილით იხრიდნენ თავს ხერგიანის ვაჟკაცობისა და გმირობის წინაშე.

ონიშჩენკო: ჩვენ დავკარგეთ შესანიშნავი ალპინისტი, დიდებული მოქალაქე — პირადად ჩემთვის იგი მუდამ ცხოვრების ეტალონი იყო — ეტალონი მთამსვლელისა და ადამიანისა.

... კლდეზე ვეკიდე მთელ 25 საათს. ქვევით იყო გადაჭრილი თოკი, რომლის ბოლოს უკვე ვეღარ ვგრძნობდი ჩემს საყვარელ მიშას. მთელი ღამე ასე დაკიდებულმა გავატარე. მოდიოდა წვიმა, სეტყვა — ბუნება თითქოს დასტიროდა ერთგულ მეგობარს.

დილით შვეულმფრენი გამოჩნდა, მიტრიალა გარშემო, მაგრამ კლდეს ვერ მოუახლოვდა. რამდენიმე საათის შემდეგ კი ფოლადის ტროსით მწვერვალიდან ჩამოუშვეს ადგილობრივი ალპინისტი (ისინი თილო გზით ავიდნენ იქ), რომელმაც განსაცდელისგან მიხსნა.

ამ უბედურებაზე ბევრი ვიფიქრე. ჩვენ ახალი, ნეილონის ავსტრიული თოკი გვქონდა, ძალიან მაგარი და მოსახერხებელი. მაშ რა მოხდა? როგორც ჩანს, კლდის ქიმზე გადაჭიმულ თოკს ზედ შუაზე მოხვდა ბასრი ქვა და საბედისწეროდ გადაჭრა.

ანუფრიკოვი: მიშა ხერგიანი მოვლენა იყო ჩვენს ალპინიზმში, მას კიდევ ბევრი შეეძლო გაეკეთებინა. იგი ყველას უყვარდა. ასეთები ხშირად როდი გვხვდებიან.

გამოთხოვებისას იტალიელმა მთამსვლელებმა გვთხოვეს მიხეილ ხერგიანის ორი პორტრეტი გამოგვიგზავნეთ საბჭოთა მთამსვლელების ავტოგრაფებით. ერთს ვაცოლერის თავშესაფარში დავკიდებთ, სადაც საბჭოთა მთამსვლელები ცხოვრობდნენ, მეორეს კი — ალპინიზმის ადგილობრივი ფედერაციის შენობაშიო.

ერთ-ერთმა მათგანმა ცრემლნარევი ხმით თქვა: „აი, დიდებული სიკვდილი, თუ სიკვდილს საერთოდ დიდებული შეიძლება ეწოდოს!"



ამ სურათზე სუ ალტოს მთაა აღბეჭდილი. შავი ხაზით აღნიშნულია მ. ხერგიანისა და ვ. ონიშჩენკოს წყვილის გზა. რკალი გვანიშნებს იმ საბედისწერო ადგილს, სადაც მოწყდა ქართველი მთამსვლელი, ხოლო ჯვარი — მისი დავარდნის ადგილს.

3 გუნდი — ეს ძალიან ცოტაა!

სოხუმში ახლახან დამთავრებულ საქართველოს ჩოგბურთელთა ჩემპიონატში მხოლოდ სამმა გუნდმა იასპარეზა — თბილისის, აფხაზეთისა და აჭარის ნაკრებმა კოლექტივებმა. შეჯიბრებაზე არ ჩამოვიდნენ ქუთაისის, რუსთავის, გორის, გარდაბნისა და სამხრეთ ოსეთის ნაკრები გუნდები. განსაკუთრებით საწყენია, რომ ტურნირს თავი აარიდა შარშანდელმა პრიზიორმა — ქუთაისის ნაკრებმა. წლეულს ქუთაისელ ჩოგბურთელებს მოესპოთ ნორმალური ვარჯიშის საშუალება იმის გამო, რომ მათი კორტების ადგილზე ტანვარჯიშის დარბაზის მშენებლობა გააჩაღეს. დარბაზის აგება კარგი საქმეა, მაგრამ ნუთუ ქალაქში საამისო სხვა უშენი ადგილი არ მოიძებნა?! თანაც, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქუთაისს ჩოგბურთში საკმაოდ თვალსაჩინო ტრადიციები ჰქონდა და მოზარდთა რესპუბლიკური გუნდი ხშირად შეუვსია კარგი მოთამაშეებით.

ახლა თვით შეჯიბრების შესახებ. I ადგილი დაიკავა თბილისის ნაკრებმა, რომელმაც დაამარცხა აფხაზეთისა (10:1) და აჭარის (9:0) გუნდები. II ადგილისთვის გამართულ დაძაბულ ბრძოლაში აფხაზეთის ნაკრებმა სძლია აჭარის წარმომადგენლებს — 7:5.

პირად პირველობაში მონაწილეობა მიიღო 16 ქალმა და 22 ვაჟმა.

ვაჟთა ერთეულების ნახევარფინალში დაძაბულ ბრძოლებს ვარაუდობდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. თ. კაკულიამაც და გ. ახალაძემაც იოლად დაამარცხეს თავიანთი მეტოქეები: პირველმა — ბ. სენჩუროვი (6:2, 6:1), მეორემ კი, ასეთივე ანგარიშით — ვ. პერეგუდოვი. ფინალში კაკულიამ იმარჯვა (8:6, 4:6, 6:2, 6:2) და ჩემპიონის სახელიც მოიხვეჭა. III ადგილზეა სენჩუროვი.

ქალთა ერთეულების ნახევარფინალებში გავიდნენ რ. აბჟანდაძე — ო. პაპაიანი და ა. ივანოვა — ნ. თუხარელი. აბჟანდაძემ იოლი გამარჯვება მოიპოვა მეტოქესთან (6:3, 6:1), სამაგიეროდ, მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ივანოვასა და თუხარელის შეხვედრა. დამსახურებული გამარჯვება ერგო თუხარელს — 6:3, 7:5. ისიც უნდა ითქვას, რომ ივანოვა მეორე პარტიაში დაწინაურდა (5:2), მაგრამ შემდეგ პოზიციები დათმო.

დიდი ინტერესი გამოიწვია აბჟანდაძე — თუხარელის ფინალურმა შეხვედრამ. ჯერ აბჟანდაძემ იმარჯვა (6:1), შემდეგ—თუხარელმა (6:0). დრამატულად წარიმართა მესამე, გადამწყვეტი ხელი: დაწინაურდა (5:4) აბჟანდაძე და როცა ორმაგი „მატჩბოლი" იყო მის სასარგებლოდ (40:15), თუხარელმა შეძლო ანგარიშის გათანაბრება (5:5). მერე უკვე თუხარელს ჰქონდა დაწინაურების რეალური შესაძლებლობა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში დათმო გეიმი. საბოლოოდ აბჟანდაძემ იმარჯვა (8:6) და ჩემპიონიც გახდა. ივანოვა III ადგილს დასჯერდა.

დანარჩენ თანრიგებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ქალთა წყვილები — 1. ივანოვა — თ. ფარსადანოვა, 2. აბჟანდაძე — თუხარელი, 3. ვ. გოგუა — პაპაიანი; ვაჟთა წყვილები — 1. კაკულია — ახალაძე, 2. პერეგუდოვი — სენჩუროვი, 3. ვ. გეგელაშვილი — ნ. ჟორდანია; შერეული წყვილები — 1. ივანოვა — კაკულია, 2. აბჟანდაძე — პერეგუდოვი, 3. ლ. მგალობლიშვილი — ახალაძე.

პრიზიორთა რიცხვში, ბათუმელი ჟორდანიას გარდა, ყველა თბილისელია. აქედანაც ცხადად ჩანს, რომ საქართველოს რაიონებში ჩოგბურთი მეტისმეტად ჩამორჩება.

ი. გეგელაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

• • •

სურათებზე: თ. კაკულია და რ. აბჟანდაძე შეჯიბრების დროს.
ფოტო გ. იაშვილისა.



დიდი მეტოქე

ახალი წიგნის სამყარო

საუკუნეთა მანძილზე სპორტსა და რელიგიას შორის საკმაოდ რთული ურთიერთობა დამკვიდრდა. თავდაპირველად ეს კავშირი ურყევი იყო. ძველი მსოფლიოს უდიდეს ზეიმს — ოლიმპიურ თამაშებსაც კი ღვთაებრივ წარმომავლობას მიაწერდნენ. გადმოცემების ერთი ნაწილის მიხედვით, თამაშების ფუძემდებლად მიჩნეულია უძლეველი ჰერაკლე, ზევსის ვაჟი. ესმან მოაწყო პირველი შეჯიბრება რბენაში თავის ოთხ ძმას შორის და საკუთარი ტერფით გაზომა დისტანცია სარბენ ბილიკზე. სხვა წყაროებს თუ დავუჯერებთ, ოლიმპიური თამაშები თვით ზევსმა დააწესა მამამისზე, კრონოსზე გამარჯვების აღსანიშნავად.

მაგრამ აი, კერპთაყვანისმცემლობა ქრისტიანობამ შეცვალა და სასულიერო წრეების ფიზიკური განვითარებისადმი დამოკიდებულებაც ძირფესვიანად შეიცვალა. რომის იმპერატორმა თეოდოსმა 394 წელს აკრძალა ყოველგვარი ათლეტური შეჯიბრებები, როგორც ქრისტიანული დოგმებისთვის შეუფერებელი. ეს აკრძალვა ოლიმპიურ თამაშებსაც ეხებოდა. 426 წელს, თეოდოს II ბრძანებით, ოლიმპი მისი წმიდა ჭალებით, ტაძრებითა და უძვირფასესი სკულპტურული ძეგლებით ცეცხლს მისცეს და გაძარცვეს.

თითქმის თექვსმეტი საუკუნის წინ აქ გადაიშალა ფიზიკური კულტურის წინააღმდეგ სასულიერო სამყაროს სისხლისმღვრელი ომის მატიანის პირველი ფურცელი. ძველ საბერძნეთში გამეფებული ადამიანის სხეულის სილამაზისა და სრულყოფის კულტი შეცვალა ქადაგებამ, რომელიც ადიდებდა ასკეტიზმსა და ხორცის გვემას სულის ხსნისთვის.

ისტორიამ ბევრი საინტერესო საბუთი შემოუნახა შთამომავლობას. 407 წელს ეკლესიის მსახურმა იან ზლატოუსტმა ანათემას გადასცა მოცურავეები, რადგან ისინი „უსირცხვილოდ გამოდიან ამფითეატრებში, სადაც ბრბო იყრის თავს..."

1551 წელს დაწესდა კანონი, რომელიც უმკაცრესად კრძალავდა ფიზიკურ ვარჯიშს. სახალხო თამაშებსა და გასართობებს. ეს იყო რუსული საზოგადოების ცხოვრების ერთ-ერთი თავისებური საბუთი.

მაგრამ საქმე მხოლოდ აკრძალვით, ქადაგებითა და ანათემით არ მთავრდებოდა. XIII საუკუნეში გერმანიის ქალაქ მაკლენბურგში ეკლესიის მსახურებმა კოცონზე ცოცხლად დაწვეს მოცურავეთა დიდი ჯგუფი. განაჩენში ნათქვამი იყო, რომ ისინი „ულვთოდ და უპატიოსნოდ" იქცეოდნენ როცა ტბებში ცურავდნენ ბრბოს თვალწინ, რაც მოწმობს, რომ მათ ეშმაკს მიაპყრეს ყური".

1618 წელს ინგლისში გამოვიდა ჯეიმსის თავისი დროისთვის პროგრესული „სპორტის სამეფო წიგნი" მის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა ყოვლად ძლიერმა ეკლესიამ. სასულიერო პირთა გავლენით კარლოს I ეს წიგნი აკრძალა, შემდეგ კი გაიცა ბრძანება რომ მისი ყველა ეგზემპლარი დაეწვათ. „მას, ვინც წიგნს 1643 წლის 10 მაისის შუადღემდე არ ჩაგვაბარებს, — ნათქვამია ხელმწიფის ბრძანებაში, — ცოცხლად დაწვა ელის".

რით ვერ აამა ჯეიმსის წიგნმა მეფესა და ეკლესიის მესვეურებს? თურმე ამ წიგნში იყო ერთი ასეთი ფრაზა: „კვირა დღე და დღესასწაულები არა მხოლოდ ღმერთს მოვახმაროთ, არამედ სპორტსაც". ეს აზრი მთელი სამი საუკუნის მანძილზე სასტიკად იყო აკრძალული.

მაგრამ აი, დღევანდელი თაობის თვალწინ საოცარი გარდაქმნა მოხდა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მიმართ ეკლესიის დამოკიდებულებაში. ეკლესია იძულებული გახდა არამარტო ეცნო სპორტი, როგორც ადამიანური გენიის ყველა სხვა მიღწევა — რადიო, ტელევიზია, კინო, კოსმოსის დაპყრობაც კი, არამედ თვითონაც გამოეყენებინა იგი. ახალგაზრდობას სპორტი უყვარს, ამიტომ ეკლესიის მსახურნი ცდილობენ მისი მეშვეობით მოახდინონ გავლენა ადამიანის სულზე. დასავლეთში საეკლესიო ცერემონიალს ხშირად სპორტული შეჯიბრებები და სხვადასხვა ათლეტური ატრაქციონი ახლავს, რომელთა მეშვეობითაც ახალგაზრდებს ეკლესიაში იზიდავენ. სასულიერო სემინარიებსა და კოლეჯებში სპორტს თითქმის ისევე აქცევენ ყურადღებას. როგორც ღვთისმეტყველებას. ზოგიერთი ეკლესიის მსახური სიამოვნებით იცვამს სპორტულ მაისურს და საკმაო წარმატებითაც გამოდის სტადიონზე. ბევრ სპორტის მოყვარულს კარგად ახსოვს ბობი რიჩარდსის გამოსვლები, რომელსაც „მფრინავ მოძღვარს" უწოდებდნენ. ეს მღვდელი მრავალი წლის მანძილზე რეკორდებს ამყარებდა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონიც კი იყო ჭოკით ხტომაში.

მაგრამ, ასეა თუ ისე, რელიგიის კავშირი სპორტთან. პირდაპირ უნდა ითქვას, მაინც იძულებითია. სინამდვილეში ეკლესიის დამოკიდებულებას სპორტისადმი, ადამიანის ჰარმონიული განვითარებისკენ მისწრაფებისადმი ყველაზე ნათლად ახასიათებს არა დღევანდელი დღის სენსაციები, არამედ საუკუნეთა მანძილზე გამეფებული უმკაცრესი დევნა ადამიანისა, რომელსაც სურს ადამიანი იყოს.

ამ მრავალსაუკუნოვან სიძულვილს თავისი საფუძველი აქვს. ეკლესიის მესვეურებმა იმთავითვე იგრძნეს სპორტში დიდი მეტოქე. მართლაც, თუ ღმერთმა შექმნა ადამიანი, ესე იგი, ადამიანი, როგორც ღვთის შვილი, თავისთავად უნდა იყოს ყოველმხრივ სრულყოფილი არსება. მისი მისწრაფება სხეულის შემდგომი სრულყოფისკენ მხოლოდ ეშმაკის შეგონებაა. მაგრამ აი, უეცრად აღმოჩნდა, რომ ფიზიკური ვარჯიშების საგანგებოდ ჩამოყალიბებული სისტემის წყალობით ადამიანს შეუძლია თვითონვე მისცეს სასურველი ფორმა თავის ფიგურას, ჩიას და სუსტს შეუძლია ახოვან, ჯანსაღ ადამიანად იქცეს და თავიდან აიცილოს ბედისწერით მასზე დაწესებული ავადმყოფობა, ნაადრევი სიკვდილი.

ხომ არ წარმოიდგენს თავს ყოვლისშემძლედ, ხომ არ შელახავს მაღალი ღმერთის ავტორიტეტს ადამიანი, რომელმაც ასეთი უფლებები მოიპოვა თავის სხეულზე და შეძლო ძლიერი, ამტანი, მოქნილი გამხდარიყო? სწორედ ამაში ხედავენ ეკლესიის მესვეურები მთავარ საფრთხეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მხრიდან. და რაც უფრო ვითარდება კაცობრიობა, მით უფრო ძლიერდება ეს საშიშროება რელიგიისთვის.

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, ბოლო ათი წლის მანძილზე ადამიანი მთელი თავით მაღლა დადგა თავის წინამორბედებზე. ეს ნათქვამია გადატანითი კი არა, პირდაპირი მნიშვნელობით. ადამიანი ტანად 8-10 სმ-ით გაიზარდა. 13 წლის მოზარდები ახლა ისე გამოიყურებიან, როგორც 15 წლისანი ნახევარი საუკუნის წინათ. ადამიანი ფიზიკურადაც უფრო გამძლეა. ამას წინათ გდრ-ის მეცნიერებმა შეადარეს ჭაბუკებისა და მოზარდების სხვადასხვა ფიზიკური ვარჯიშის მაჩვენებლები 50 წლის მანძილზე. რა გამოირკვა? 16 წლის ჭაბუკები ახლა სიგრძეზე 60 და სიმაღლეზე 23 სმ-ით მეტზე ხტებიან, ბირთვს 120 სმ-ით შორს გზავნიან, ვიდრე მათი ტოლები ნახევარი საუკუნის წინ.

ამის მიზეზია უკეთესი კვება, ვიტამინების მეტი რაოდენობით მიღება და, რა თქმა უნდა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის გამაჯანსაღებელი მოქმედება, რამაც ფართოდ მოიკიდა ფეხი მთელ მსოფლიოში.

დღეს ჩვენ უკვე შეგვიძლია ზუსტად ვიწინასწარმეტყველოთ, როგორი იქნება ადამიანი 2000 წელს, როგორი იქნება მისი სპორტული რეკორდები. ამაში დაგვეხმარა ელექტროაღმრიცხველი მანქანა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში. მეცნიერებმა მიიღეს ცნობები სპორტის ზოგიერთი სახეობის შესახებ საგანგებო მოწყობილობის დახმარებით. მანქანამ ასეთი პროგნოზები მოგვცა: მსოფლიო ჩემპიონი ქალთა შორის 200 მეტრს ბრასით 2 წუთსა და 37,3 წამში გაცურავს, ძალოსანი სამჭიდის ჯამში 660 კგ-ს დააგროვებს, სიმაღლეზე მხტომელი 240 სმ-ს გადალახავს. როგორი შესახედავი იქნებიან მსოფლიო რეკორდსმენები? მანქანამ ამაზეც გვიპასუხა: სპორტსმენის სიმაღლე — 185 სმ. წონა — 70-85 კგ, გულმკერდის მოცულობა — 80-95 სმ. როგორც ხედავთ, ისინი ჩვეულებრივი ადამიანები იქნებიან.

შეიძლება მანქანის წინასწარმეტყველება ვადაზე ბევრად ადრე ახდეს, მაგრამ ერთი უეჭველია: ადამიანის აზროვნების მუშაობის უნარი უსაზღვროა. უაღრესად დიდია მისი ფიზიკური შესაძლებლობებიც.

ა. სვეტოვი.

ახალი სახეობაში

11 ივლისს მოსკოვში დაიწყო სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატი ცხენოსნურ სპორტში. ასპარეზობის პირველი ჩემპიონი გახდა დედაქალაქის წარმომადგენელი ვ. პრიხოდკო, რომელმაც მოიგო შეჯიბრება გახედნაში „შესავალ პრიზზე".

აქამდე საკავშირო ცხენოსნურ-სპორტულ პირველობებში გახედნის ოსტატები მხოლოდ სამ სახეობაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს — „დიდ", „საშუალო" და „მცირე" პრიზებზე. „შესავალი პრიზი" პირველად გათამაშდა. დასანანია, რომ ამ ბრძოლაში ძალიან ცოტა სპორტსმენი ჩაება, ამასთან, ყველა მათგანი თანაბრად ძლიერი როდი იყო. ამ სახეობის პროგრამა ფურდნობა ელემენტებს, რომლებშიც საბჭოთა ცხენოსნები ძალიან შორს დგანან ოსტატობის მწვერვალისგან. ეს ითქმის მათზეც კი, ვინც უდიდეს საერთაშორისო ტურნირებში და ოლიმპიურ თამაშებში იცავს სსრ კავშირის ღირსებას.

პრიხოდკომ 609 ქულა მოაგროვა, ესე იგი, შესაძლებლის დაახლოებით 70 პროცენტი.

ჩემპიონატი 20 ივლისამდე გასტანს. შეჯიბრებები გაიმართება ყოველდღე ორ სპორტულ ბაზაზე — ცენტრალურ იპოდრომზე (დაბრკოლებათა გადალახვა და გახედნა) და პლანიორნაიაში (სამჭიდი).

პროგრამაში ბევრი სახეობა შედის, მაგრამ ყველაზე საინტერესო ასპარეზობა 15 ივლისს პლანიორნაიაში ჩატარდება სამჭიდში, 16 ივლისს კი იპოდრომზე, სადაც „დიდი პრიზის" გათამაშების მონაწილე გახედნის ოსტატები დაამთავრებენ ტურნირს. 17 და 20 ივლისს იმავე იპოდრომზე გაიმართება შეჯიბრება დაბრკოლებათა გადალახვაში „სსრ კავშირის თასზე" და ამავე სახეობის „უმაღლეს კლასში". (საკდესი).

20ს

◆ **შტუტგარტი,** 11 ივლისი. აქ გაიმართა გფრ-ისა და სსრ კავშირის ველოსიპედისტთა საერთაშორისო მატჩი ტრეკზე რბოლაში. გაიმარჯვეს სტუმრებმა. თანაც, სსრ კავშირის ორი ახალი რეკორდი დაამყარეს: 4 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში კოლიუშევმა, პოლიშჩუკმა, კუზნეცოვმა და მოსკვინმა 4.29.41 (გფრ-ის კვარტეტის დროა 4.26,43 — წლეულს მსოფლიოში საუკეთესო შედეგი) აჩვენეს, ხოლო ინდივიდუალურ რბოლაში მოსკვინმა — 4.54,67.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის"
სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის გრ. № 74)

ფეხბურთი 69

სსრ კავშირის
პირველობა
14 ივლისს

„ა" ჯგუფი
II ტური

IV კვეჯგუფი

„ლოკომოტივი"
(თბილისი) —
„ვოსტოკი"
(უსტ-კამენოგორსკი)

●

16 ივლისს
საერთაშორისო შეხვედრა
„დინამო" (თბილისი)
— „ნასიონალი"
(მონტევიდეო)

ბილეთების წინასწარი გაყიდვა — 14 და 15 ივლისს 12-დან 19 საათამდე, საერთო გაყიდვა — 16 ივლისს 10 საათიდან. ფასიანი აბონემენტების მფლობელნი ბილეთებს იძენენ ტალონით № 41.

●

მატჩების დასაწყისი 20 ს.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივი და გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობენ ა. ციბაძეს მამის
ესტატე იოსების ძე
ციბაძის
გარდაცვალების გამო.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04230